

ახალი ანბანის
საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ეგიდით
განხორციელებული ენობრივი პოლიტიკა
XX საუკუნის 20–30-იანი წლების აფხაზეთში
LANGUAGE POLICY IMPLEMENTED
IN ABKHAZIA IN THE 1920S AND 1930S
UNDER THE AUSPICES
OF THE CENTRAL COMMITTEE'S
NEW ALPHABET INITIATIVE

თეიმურაზ გვანცელაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Teimuraz Gvantseladze
Sokhumi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The language policy was meticulously planned, strictly enforced, and overseen by the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union and its affiliated structures (departments, organizing bureau, and political bureau) from the establishment of the Soviet regime in Georgia in 1921 until 1940 and beyond. In 1925, the All-Union Central Committee of the New Alphabet (AUCCNA), which had branches in all republics, autonomous republics, and major regions, began operating under the National Council of the Central Executive Committee of the Soviet Union.

The branches of the All-Union Central Committee of the New Alphabet were located in the Georgian SSR. There were Committees of the New Alphabet for the Transcaucasian Soviet Federal Socialist Republic and for the Georgian SSR, both based in Tbilisi. Besides, separate committees worked in Sokhumi, Batumi, and Tskhinvali. The Moscow committee maintained direct contact with each of them.

Many documents that demonstrate how the AUCCNA effectively elaborated and implemented language policy in Abkhazia are preserved in the National Archives of Georgia, the archive of Ministry of Internal Affairs of Georgia, and the archive of the Georgian National Academy of Sciences. This institution planned and funded various specific initiatives, including seemingly insignificant ones, while consistently monitoring the ongoing language processes in the autonomous republic. It paid particular attention to the language of the people who named the republic, aiming to develop and expand its usage. Furthermore, it rigorously evaluated any mistakes and deviations from Soviet language policy.

The proposed paper, based on archive materials, presents the following projects that were under the control of the AUCCNA:

- In 1925, N. Marr created the Analytical Alphabet for the Abkhazian Literary Language, which was legalized in 1926. It was primarily based on the Latin script, although some Greek letters were also included. This alphabet proved to be particularly difficult for pupils;

- In 1928, N. Marr's alphabet was replaced by the Latinized Alphabet, created by N. Yakovlev, E. Polivanov, S. Chanba, and M. Hashba;

- The Latinized Alphabet designed by Yakovlev's group was complex and contradictory, so immediately after its implementation, the process of further improvement and reduction of the number of letters began. Georgian and Russian colleagues, as well as experts from AUCCNA, provided consultations to their Abkhaz counterparts;

- At the 15th conference of the Regional Committee of the Abkhazian communist party in May 1937, it was decided to adopt the Georgian script as the basis for the Abkhazian Literary Language. Subsequently, Abkhazian and Georgian linguists began working on developing the relevant projects, which was then published and discussed in newspapers and various gatherings;

- In Sokhumi, on December 4-5, 1937, during a special session, the new Abkhazian script based on the Georgian alphabet was adopted; the authors of the project were Dmitri Gulia, Simon Janashia, and Akaki Shanidze. Professor Alexander Gren led the delegation of AUCCNA, which participated in the session along with Abkhazian and Georgian scientists.

- Specialists from Sokhumi, Tbilisi, Moscow, and Leningrad (including linguists, psychologists, graphic artists, typographers, and others) as well as nearly twenty different institutions from these cities actively participated in the second stage. This stage involved the implementation of the new script, which was designed based on the Georgian alphabet.

- AUCCNA elaborated the scheme of the arrangement of the Abkhazian letters for linotypes and typewriters; they decided their positioning in the left- and right-hand areas;

- AUCCNA determined the production limits for Abkhazian linotypes at the Leningrad State Plant, which was named after Max Geltz, and for typewriters with the Abkhazian script at the Kazan Plant for the Production of Typewriters. Additionally, AUCCNA set the limits for selling these linotypes and typewriters to Abkhazian institutions. Without AUCCNA's permission, these plants were not authorized to produce or deliver their products to customers;

- AUCCNA financed folklore and dialectological expeditions conducted by Abkhaz scientists, as well as the publication of the gathered folklore and dialect materials. This included the publication of N. Yakovlev's "Grammar of the Abkhazian Language," A. Genko's "Abkhazian-Russian Dictionary," and a collection of Abkhaz Fairy Tales in both Abkhazian and Russian languages;

- AUCCNA also determined the plans for publishing the Abkhazian Dictionary of Terminology, Orthographic Dictionary, bilingual dictionaries (Abkhazian-Russian and Abkhazian-Georgian), and for translating the works of Marxism-Leninism 'classics' into Abkhazian, and allocated the relevant funds.

- AUCCNA systematically requested, reviewed, and approved financial and operational reports from the Abkhazian Committee of the New Alphabet, as well as approved action plans and other activities.

Such a centralized management system for planning, implementation, and detailed control of language policy completely refuted the claims of separatists and their supporters. For example, the implementation of a new Abkhazian alphabet in 1938, which was based on the Georgian script, was often falsely portrayed as adopted without the consent of the Abkhazian side and as aimed at their Georgianization. However, it is crucial to note that the totalitarian system did not allow for unilateral decision-making in such matters.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, აფხაზური დამწერლობის ვარიანტები.

Keywords: The Russian language policy in Abkhazia during the 1920s and 1930s, activities of the All-Union Central Committee of the New Alphabet, variants of the Abkhazian script.

შესავალი

ნაშრომი ნაწილია პროექტისა „ენათა ფუნქციონირება აფხაზეთის ასსრ-ში XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოური პოლიტიკის კონტექსტში“, რომელიც დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (კოდი: OTG-I-232). სტატიაში აღწერილი ფაქტების დიდი ნაწილი აქამდე უცნობი იყო ჩვენს სამეცნიერო წრეებში.

1921 წელს, როცა საბჭოთა რუსეთმა ხელახლა დაიპყრო საქართველო და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია, მაშინვე დაიწყო ეროვნებათშორისი შუღლის წაქეზება. საოკუპაციო რეჟიმის მთავარი იდეოლოგემა იყო მოსახლეობის დარწმუნება იმაში, თითქოს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური ხელისუფლება იმაზე უფრო დაუნდობლად ჩაგრავდა ეთნიკურ უმცირესობებს, ვიდრე მეფის რუსეთის რეჟიმი 1801-1917 წლებში. ეს იდეოლოგემა მასობრივად ინერგებოდა სკოლების, პრესის, რადიოს, თეატრის მეშვეობით. პარალელურად 1921 წლიდან ყველა დაწესებულებასთან შეიქმნა **ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები**. ამ საბჭოებს ჰქონდათ განუსაზღვრელად დიდი უფლებები და შეეძლოთ შეეჩერებინათ უმაღლესი ეშელონის მმართველთა გადაწყვეტილებებიც კი (ვრცლად იხ.: ჭაავა 2021: 98...).

20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირის მმართველი კომუნისტური პარტია ოფიციალურად აცხადებდა, რომ მისი საბოლოო მიზანი მთელ მსოფლიოში სოციალისტური წყობის დამყარება, არისტოკრატის, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის ფიზიკურად მოსპობა, მსოფლიოს შეერთებული შტატების შექმნა, ასევე, ეროვნული და ენობრივი სხვაობების მოშლის გზით ერთიანი ხალხის წარმოქმნა იყო. ვლადიმირ ლენინის, იოსებ სტალინისა და სხვა ლიდერთა აზრით, ასეთი გზით ხელოვნურად შექმნილი ხალხი საბოლოოდ ილაპარაკებდა ერთ ენაზე (ინგლისურად), ან

ინგლისურ და რუსულ ენებზე (Ленин 1973: 387; Сталин 1949: 343; Сталин 1951: 53-54).

ამ მიზნების მისაღწევად უკვე 20-იან წლებში დაიწყო პროვოკაციული და აგრესიული ენობრივი პოლიტიკის განხორციელება ყველგან, სადაც კი თუნდაც მცირე კომპაქტურ ჯგუფებად ცხოვრობდნენ უმრავლესობისაგან განსხვავებულ ენებზე მოსაუბრე უმცირესობები და დიასპორები; მკვიდრ ეთნოსებსა და უმცირესობებს, ან დიასპორებს შორის დამაბულობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ან ავტონომიებსა და დაპყრობილი ქვეყნების ძირითად ტერიტორიას შორის ავლებდნენ ხელოვნურად დამახინჯებულ და იმთავითვე სადავო საზღვრებს; მიმდინარეობდა ისტორიის გადაწერა; კონკრეტულ ეთნოსებს სრულიად თვითნებურად ნათლავდნენ უმცირესობათა მჩაგვრელებად (გავიხსენოთ სტალინის ცნობილი გამოხატულება, საქართველოში ჩაგრავენ ოსებს, აფხაზებს, სომხებს, აჭარლებსო), ფართოდ იყო გავრცელებული „დაყავი და იბატონე“-ს იმპერიული პრინციპი, როცა ცალკე ეთნოსებად ცხადდებოდნენ კონკრეტული ხალხების გარკვეული ჯგუფები. ასე შექმნეს და ერთმანეთისაგან გამოაცალკევეს ისეთი ხელოვნური ეთნოსები, როგორიც არიან: ჩეჩნები და ინგუშები, ადიღელები და ყაბარდოელები, ყარაჩაელები და ბალყარელები, დღემდე ცდილობენ, ქართველ ერს მოახლიონ აჭარლები, მეგრელები, ლაზები, სვანები, წოვათუშები...

მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხი მთლიანად ემყარება საარქივო მასალებსა და უკვე გამოქვეყნებულ პოლიტიკურ დოკუმენტებს. ვიყენებთ აღწერით (ტექსტის ანალიზის) მეთოდს.

მსჯელობა

იმ ფონზე, როცა პარტიის გენერალურ ამოცანად მსოფლიოში ხალხთა შერწყმა და ორი საბოლოო ენიდან ერთ-ერთად რუსულის გაბატონება იგეგმებოდა, როგორც ჩანს, რეჟიმი მაინც დააფრთხო რუსიფიკაციის ღია და მასობრივად წამოწყებამ და ამის გამო დაპყრობილ ხალხთა ერთბაშად აჯანყების დიდმა ალბათობამ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გაჩნდა თვით რუსული ენის ლათინურ დამწერლობაზე გადაყვანის იდეა. ეს იდეა XX საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს ლენინისათვის გაუზიარებია განათლების სახალხო კომისარ ანატოლი ლუნაჩარსკის, ლენინს კი უარი უთქვამს, მშვენიერი აზრია, მაგრამ რუსი ხალხი ამას არ გვაპატიებსო. 1919 წელს რსფსრ-ს განსახკომის მეცნიერების განყოფილებამ კვლავ ა. ლუნაჩარსკის მონაწილეობით გამოიტანა დასკვნა, რომ ლათინურ დამწერლობაზე გადაყვანილიყო რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხის ენები. ეს იქნება ლოგიკური გაგრძელება ახალ კალენდარზე გადასვლისა და ზომა-წონის მეტრული სისტემის შემოღების შემდეგ. საყურადღებოა, რომ მოგვიანებით რუსული ენის ლათინიზაციისკენ პრაქტიკული ნაბიჯი მაინც გადაიდგა, კერძოდ, 1929 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია პროფ. ნიკოლაი იაკოვლევის მეთაურობით, რომელმაც ახალი დამწერლობის პროექტიც შეადგინა, მაგრამ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ არ დაამტკიცა იგი და კომისიაც დაიშალა (<https://ru.wikipedia.org/wiki>). მიზეზი გასაგებია: ამ დროს სტალინმა უკვე მოიფიქრა ახალი იდეა ერთ კონკრეტულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ

და რუსული ენის ლათინიზაცია ხელს შეუშლიდა რუსიფიკაციის გეგმის აღსრულებას. ამ ახალი კონცეფციის მიხედვით, ჯერ საბჭოთა კავშირში გავრცელებული უკლებლივ ყველა ენა ეტაპობრივად უნდა შერწყმოდა ერთმანეთს, ჯერ უფრო „ძლიერ“ ენებს უნდა გადაეყლაპათ უავტონომიო ეთნიკურ ჯგუფთა ენები, შემდეგ ავტონომიის მქონე ეთნოსების ჯერი დადგებოდა, რომლებსაც ალბათ მოკავშირე რესპუბლიკათა სატიტულო ხალხთა ენები „მოუვლიდნენ“ რუსულის დახმარებით, ბოლოს დარჩენილ რამდენიმე ენას კი რუსული მოუღებდა ბოლოს.

დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს:

20-იანი წლების დასაწყისში აქცენტი გადაიტანეს თურქული მოდგმის ხალხთა და ჩრდილოეთკავკასიელ ეთნოსთა ენების ლათინიზაციაზე, რაც ტაქტიკური მანევრი იყო: იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს გარუსებას არავის უპირებდნენ. 1924 წელს ლენინგრადში მოქმედ რადლოვის სამეცნიერო წრის სხდომებზე აქტიურად განიხილებოდა თურქული მოდგმის ენათა არაბული დამწერლობიდან ლათინურზე გადაყვანის საკითხი. ცხადია, ეს სულაც არ იყო უწყინარი ღონისძიება: არაბული დამწერლობის აკრძალვა ისლამის რელიგიურ-კულტურული მოძღვრების მოსასპობად იქნა მოფიქრებული, თან არგუმენტად თურქეთში დამწერლობის ლათინიზაციაც გამოდგა ანალოგიისათვის.

ლათინიზაციის პრინციპთა შესადგენად ლენინგრადში შეიქმნა კომისია პროფ. ლევ შჩერბას მეთაურობით. 1925 წელს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ მე-2 კონფერენციაზე გადაწყდა ინგუშური, ჩეჩნური, ადიღური, ყაბარდოული და ყარაჩაულ-ბალყარული ენების ლათინიზაცია, ხოლო 1926 წელს ბაქოში გამართულ პირველ სრულიად საკავშირო თურქოლოგიურ ყრილობაზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ კავკასიისა და შუა აზიის მაჰმადიან ხალხთა წარმომადგენლები (მათ შორის აფხაზები და ოსები), დაარსდა **ახალი თურქული ანზანის სრულიად საკავშირო ცენტრალური კომიტეტი (Всесоюзный Центральный комитет Нового тюркского алфавита)**. ამ კომიტეტს რეზიდენცია ბაქოში ჰქონდა. მას დაევალა ყველა დასახელებული ენისათვის ლათინიზებული დამწერლობის პროექტის შექმნა, რაც ერთ წელიწადში შესრულდა: უნიფიცირებული ლათინიზებული დამწერლობა 34 ასოს შეიცავდა, მაგრამ რჩებოდა შესაძლებლობა საჭიროებისამებრ სხვა ასოების დამატებისაც. მალე კონტროლის გასაძლიერებლად კომიტეტი მოსკოვში გადაიტანეს და დასახელებიდან ამოიღეს სიტყვა „თურქული“. კომიტეტი დაექვემდებარა **საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის** (ანუ ცაკის) **ეროვნებათა საბჭოს** და მიენიჭა უფართოესი უფლებები. პრაქტიკულად ეს კომიტეტი 30-იანი წლების ბოლომდე იყო მთელი იმპერიის ტერიტორიაზე ენობრივი პოლიტიკის რანგით მესამე დამგეგმავი, დამფინანსებელი და მაკონტროლებელი ორგანო. იერარქიულ კიბეზე მის ზემოთ იდგნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ცაკი და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავისი ორგბიუროთი და პოლიტბიუროთი, რომლებიც რეალურად განსაზღვრავდნენ ენობრივი პოლიტიკის გენერალურ ხაზს, იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებებს და საჭიროების დანახვის შემთხვევაში უმკაცრეს ზომებსაც იყენებდნენ ამ ხაზიდან გადახვევის გამო.

ახალი ანბანის ცენტრალურ კომიტეტს ფილიალების ფართოდ დატოტვილი სისტემა ჰქონდა: მას ექვემდებარებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიების, მხარეებისა და მსხვილი ოლქების ახალი ანბანის კომიტეტები, რომელთა ხელმძღვანელები აუცილებლად ცაკის თავმჯდომარეები უნდა ყოფილიყვნენ, მოადგილეებად კი ყველა რესპუბლიკასა და ავტონომიებში შექმნილი მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები, ან ენათმეცნიერები თუ ადგილობრივი განმანათლებლები.

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალების მიხედვით, 30-იანი წლების საქართველოში ახალი ანბანის ორი კომიტეტი არსებობდა თბილისში: ერთი ექვემდებარებოდა 1936 წლამდე არსებულ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ცაკს, მეორე კი – საქართველოს სსრ-ს ცაკს. თითო კომიტეტი იყო სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ თბილისში მოქმედ ორივე კომიტეტს, მაგრამ ჰქონდათ უშუალო კონტაქტები მოსკოვთან და ქ. პიატიგორსკში არსებულ ჩრდილოეთ კავკასიის ახალი ანბანის სამხარეო კომიტეტთანაც. საარქივო მასალა გვიდასტურებს, რომ მოსკოვიდან სოხუმ-ბათუმ-ცხინვალში იგზავნებოდა დადგენილებები, ცირკულარები, ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სხდომათა ოქმები, საცნობარო ლიტერატურა და სხვა მასალები, ზოგჯერ მრისხანე წერილებიც საფინანსო და მუშაობის ანგარიშების დაგვიანების გამო.

საკითხის სიდიდის გამო ქვემოთ მოკლედ დავასახელებთ იმ ძირითად აქტივობებს, რასაც ახორციელებდა **აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტი უშუალოდ მოსკოვის ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის კონტროლქვეშ** (ეს აქტივობები დოკუმენტირებულია საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივის ფონდებში, რომლებსაც სიმრავლის გამო არ ვასახელებთ):

1. 1925 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის აკადემიკოსმა **ნიკოლაი მარმა** შექმნა ე.წ. ანალიზური დამწერლობა (аналитический алфавит), რომელიც ემყარებოდა უპირატესად ლათინურ ასოებს, თუმცა შერეული იყო ბერძნული ასოებით;
2. ნ. მარის ანბანი ოფიციალურად დაინერგა 1926 წელს და მხოლოდ ორ წელიწადს იმოქმედა, დიდი სირთულის გამო მისი ადგილი 1928 წელს დაიკავა პროფესორების **ნიკოლაი იაკოვლევისა** და **ევგენი პოლივანოვის** მიერ მწერალ და ბოლშევიკ ფუნქციონერ **სამსონ ჭანბასა** და მწერალ **მუშნი ჰაშბას** მონაწილეობით შედგენილმა სხვა ლათინიზებულმა დამწერლობამ;
3. იაკოვლევის ჯგუფის მიერ შექმნილი ლათინიზებული ანბანის შემოღებისთანავე დაიწყო მისი დახვეწისა და ასო-ნიშანთა რაოდენობის შემცირების ლამის დაუსრულებელი სამუშაოები, რაშიც აფხაზ კოლეგებს თბილისიდან კონსულტაციებით ეხმარებოდნენ **სიმონ ჯანაშია**, **აკაკი შანიძე**, **გიორგი ახვლედიანი**, **დავით კარბელაშვილი**, **ისკენდერ ჭითაში**, **თინათინ გონიაშვილი** და **სხვანი**, მეორე მხრივ კი რუსი მეცნიერები: **ნიკოლაი იაკოვლევი**, **ევგენი პოლივანოვი**, **ანატოლი გენკო**, **ივან მეშჩანინოვი**, აგრეთვე ახალი ანბანის სრულიად

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სპეციალისტები, რომელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდა **ფ. ტაგიროვი**;

4. 1937 წლის მაისში კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის XV კონფერენციაზე გადაწყდა აფხაზური სალიტერატურო ენის გადაყვანა ქართულ დამწერლობაზე (მხედრულზე) და დაიწყო აფხაზი და ქართველი ენათმეცნიერების მიერ სათანადო პროექტების შედგენა, პრესაში განთავსება და დისკუსიები;
5. 1937 წლის 4-5 დეკემბერს სოხუმში გამართულ თათბირზე დამტკიცდა ქართული დამწერლობის (მხედრულის) საფუძველზე შექმნილი დამწერლობა, რომლის ავტორები იყვნენ **დიმიტრი გულია, სიმონ ჯანაშია** და **აკაკი შანიძე**. თათბირში უკვე დასახელებულებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი სპეციალისტებიც: **სიმონ ჯანაშია, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ბაგრატ (შოთა) ჯანაშია, ნიკანდრო ბასილაია**... აქვე იყო ახალი ანბანის მოსკოვური კომიტეტის დელეგაცია პროფ. **ალექსანდრ გრენის** მეთაურობით;
6. ქართულ გრაფიკაზე აგებული ვარიანტის დანერგვის სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო სოხუმელი და თბილისელი, არამედ მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტებიც (ენათმეცნიერები, ფსიქოლოგები, გრაფიკოსები, პოლიგრაფისტები...), ასევე, დასახელებული ქალაქების 20-მდე დაწესებულება (ამ დაწესებულებათა ჩამონათვალი იხ. წიგნში: გვანცელაძე 2011: 438-440);
7. ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა სტამბის ლინოტიპებისა და ხელით საბეჭდი მანქანების კლავიატურაზე ასოთა განლაგების სქემა, მათი განაწილება მარჯვენა და მარცხენა ხელის მოქმედების არეალებში;
8. ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი ადგენდა ლინოტიპებს ლენინგრადის მაქს გელცის ქარხანაში აფხაზური ლინოტიპებისა და ყაზანის საბეჭდი მანქანების ქარხანაში ამ მანქანების დამზადებისა და აფხაზეთის დაწესებულებებისათვის მიყიდვის შესახებ. მისი ნებართვის გარეშე ამ ქარხნებს უფლება არ ჰქონდათ ვინმესთვის დაემზადებინათ და მიეწოდებინათ თავიანთი პროდუქცია;
9. მოსკოვური კომიტეტი აფინანსებდა აფხაზ მეცნიერთა ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს, ჩაწერილი ფოლკლორული და დიალექტური მასალის გამოცემას, ნ. იაკოვლევის „აფხაზური ენის გრამატიკის“, ა. გენკოს „აფხაზურ-რუსული ლექსიკონის“, აფხაზური ზღაპრების კრებულის გამოცემას დედნის ენასა და რუსულ ენაზე;
10. ეს კომიტეტი ადგენდა აფხაზური ტერმინოლოგიური ლექსიკონის, ორთოგრაფიული ლექსიკონის, ორენოვანი ლექსიკონების, მარქსიზმ-ლენინიზმის „კლასიკოსთა“ თხზულებების აფხაზურად თარგმნის გეგმებს, გამოყოფდა სათანადო თანხებს;
11. მოსკოვური კომიტეტი აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტისაგან მოითხოვდა, განიხილავდა და ამტკიცებდა საფინანსო და სამუშაო ანგარიშებს, ამტკიცებდა ახალ სამუშაო გეგმებს და ა.შ.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოსთან არსებული ახალი ანბანის სრულიად საკავშირო ცენტრალური კომიტეტი დეტალურად იცნობდა არა მარტო აფხაზური დამწერლობის გრაფიკული საფუძვლების შექმნის, დახვეწისა და შეცვლის საკითხებს, არამედ აკონტროლებდა, იქმნებოდა თუ არა სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული და მარქსისტულ-პარტიული ლიტერატურა ამ დამწერლობების გამოყენებით, რა გამოიყენებოდა, რას იკვლევდნენ აფხაზი მეცნიერები, ადგენდნენ თუ არა სამეცნიერო ტერმინოლოგიასა და მართლწერის ნორმებს, ატარებდნენ თუ არა სამეცნიერო ფორუმებს და ა.შ.

დასკვნები

რა თქმა უნდა, ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და დეტალური კონტროლის ამგვარი სისტემის არსებობა სრულიად გამორიცხავს სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა იმ ბრალდებას, თითქმის 1938 წლიდან აფხაზური ენისათვის შექმნილი ქართული გრაფიკა დანერგილ იქნა აფხაზთა ნების გარეშე, მათი გაქართველების მიზნით. მთავარი აქ ისაა, რომ **ამგვარ საკითხთა გადაწყვეტის ტოტალური სისტემა თვითნებობას გამორიცხავდა და დამრღვევს სისხლიან 1937-1938 წლებში რაც ელოდა, ძნელი მისახვედრი არ არის.**

ანალოგიისათვის ერთ ნიშანდობლივ მაგალითსაც დავასახელებთ:

როცა 1936 წელს ყაზარდო-ბაღყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ანბანის კომიტეტმა მოსკოვის ზემდგომ კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინა ყაზარდოული ენის ლათინიზებული დამწერლობის ნაცვლად რუსულ ასოებზე დამყარებული ახალი დამწერლობის პროექტი, ზემდგომმა იგი არ დაამტკიცა და სხდომის ოქმში ჩაწერა, **წესი დაირღვა, რადგან ავტონომიის ახალი ანბანის კომიტეტმა პროექტი წინასწარ დასამტკიცებლად არ გადასცა ყაზარდო-ბაღყარეთის ცაკსო.** ეს მაშინ, როცა იმავე 1936 წელს მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო და 1941 წელს დასრულდა ყველა ლათინიზებული დამწერლობის კირილიზაცია, ანუ რუსულ გრაფიკაზე გადაყვანა და ეს პრიორიტეტული საქმე იყო. ანუ იმ დროს ჯერ წესის ფორმალური დაცვა იყო მთავარი და მერე ყველაფერი სხვა.

დამოწმებული ლიტერატურა

გვანცელაძე 2011: გვანცელაძე თ., აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი, 2011.

ჭაავა 2021: ჭაავა ს., საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებში. თბილისი, 2021.

Ленин 1973: Ленин В.И., Полное собрание сочинений. М., т. 24, 1973.

Сталин 1949: Сталин И.В., Сочинения, т. 12. Москва, 1949.

Сталин 1951: Сталин И.В., Марксизм и вопросы языкознания. Москва, 1951.

https://ru.wikipedia.org/i/%D0%A0%D1%83%D1%81%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BB%D0%B0%D1%82%D0%B8%D0%BD%D0%B8%D1%86%D0%B0